№ 39. 21 თებერვალი, ხამშაბათი. 1866—1884 21 თებერვალი, სამშაბათი. № 39.

«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

«დროება» თითო ნომრობით იყიდება თბილისს გარდა:

ქუთაისში—ჭილაძის წიგნის მაღაზიაში,

ბათუმში—ალიბეგოვის მაღაზიაში, ზღვის პირზედ,

გორში—საზოგადოების დეპოში,

ხაშურში—რკინი-გზის ბუფეთში—ძნელაძესთან.

ფ. ა. კლიმის პეტერბურღელი საბანკირო კანტორა აცხადებს, რომ მან დანიშნა თავის აგენტად ქ. ქუთაისში, 5% შინაგანის მოგებითი სესხის ბილეთების გასაყიდველად—თვე-და-თვე ფულის გადახდით,—და დასაზღვევლად,

გ-ნი ილია ჭყონია,

რომლისადმიც მივმართავთ ყველა მსურველებს დაწვრილებითი პირობების შესატყობლად. (5—3)

## შინაური ქრონიკა

~ თებერვალს, შუადღის თორმეტ საათზედ, შესდგა კრება თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა სასწავლებლის ფონდის შედგენისათვის გარდასახადის გასაწერად და აგრეთვე იმ 1500 მანათის გასაწერად, რომელიც თბილისის მაზრამ უნდა იხადოს დეპუტატის კრებისა და მარშლის კანცელარიისათვის. ორივ ეს საგანი კრებას გადუწყვეტელი დარჩა. აღმოჩნდა რომ უწინდელ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ეს საქმე, სრული სიები ვერ შეედგინა და ასამდე თავად-აზნაური გამოკლებული იყო, კრებამ არც კი გადაათვალიერა კომისიის შედგენილი სიები და ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა ამორჩეულ იქმნას ახალი კომისია ახალის სიების შესადგენად. ამ კომისიას მიეცა კ'და ერთი თვე და ვალად დაედო, რომ ყოველს თავად-აზნაურს შეძლებისამებრ აუწყოს გაზეთებით და უწყებებით, თუ რამდენი იქნება მასზედ გაწერილი. კომისიისაგან სიების შედგენის შემდეგ, უნდა მოხდეს ხელმეორედ თბილისის მაზრის თავად-აზნაურობის კრება, რომელმაც უნდა განიხილოს და დაამტკიცოს კომისიის შრომა. კომისიაში ამოირჩიეს 34 (ოცდათოთხმეტი) პირი, უფრო მრავალ-წევრიან გვარების წარმომადგენელნი.

~ პარასკევს, არწრუნის თეატრში აქტიორებმა და სცენის მოყვარედა წარმოადგინეს «წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ» დრამა «სამშობლო». ვისაც ამ პიესაში ჩვენი ჩინებული არტისტები უნახავს, რასაკვირველია, დიდად არ მოეწონებოდა უკანასკნელი წარმოდგენა. მაგრამ თავიანთ კვალობაზედ სცენის მოყვარეთა რიგიანად შეასრულეს ლეონიძისა და ხიმშიაშვილის მეტად სამძიმო როლები. ხალხი თეატრში ბლომად დაესწრო. ხარჯის დაფარვის შემდეგ ნახევარი წმინდა შემოსავლისა აქტიორებს მიეცათ და ნახევარი—167 მან. 50 კაპ. წერა-კითხვის საზოგადოებას.

~ ზოგიერთ ჩვენს სოფლებში საზოგადოებიდამ განძევების ახალი წესი შემოუღიათ; აი რასა გვწერენ ს. გუბიდამ (ქუთ. მაზ.) «შეიკრიბნენ სამოცამდე მოსახლე გლეხი და ორს თავიანთ მეზობელზე ერთმანეთს პირობით შეეკრნენ, რომ ამ სამოცმა იმ ორს არ უმეზობლონ, ე. ი. არც იტირონ მათი მიცვალებული, არც ატირონ. თავიანთზე, არც ითხოვონ მათგან, არც ათხოვონ რამე, არც მივიდნენ მათსა, არც სახლში შეუშვან «და ვინც ჩვენგანი ამ პირობას დაარღვევს, ოც-და-ხუთი მანათი ჯარიმა გადავიხადოთ პირობის დამცველთა სასარგებლოდაო». ხელწერილში ისიც არის მოხსენებული, თუ რამ აიძულა გლეხები, რომ თავიანთ ახლო მეზობლები მკვდართა თანა შერაცხეს. «რადგან მაგათ ჩვენი ჭირი უნდათ ლხინად და ლხინება მწუხარებადო; რადგან მაგათ (განსაკუთრებით ერთს) ენა ტანიობა, მეზობლის მეზობელთან დაბეზღება ჩვეულებად გადაქცევიათო და სხვანი... მაგრამ წარმოიდგინეთ რა ძნელი უნდა იყოს ამ ხელ-წერილის დამდებთაგან პირობის შესრულება, როდესაც გუბელები იძულებულნი არიან ერთი განძევებულთაგანი მისის თანამდებობის გამოისობით ყოველ დღე სახლში მიიღონ, ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მისგან ამ თანამდებობის აღსრულებას?»

~ იქიდამვე გვწერენ შემდეგს ამბავს: ერთი ახალგაზდა ქალი ქმრის ცუდად გცემამ დააჭლექა, მაგრამ ჯერ კიდევ სასიკვდილო არაფერი უშავდა, როცა ერთს დღეს ეწვია მას ექიმი დედაკაცი მახლობელი სოფლიდან, მაღლაკიდან, და ურჩია თავად მოსუსტებულ ქალს კიდევ სისხლები გამოუშვა. ასე ეთქვა: «შენს ტანში მავნე სისხლი ტრიალობს და თუ მარტს დავასწრებით და ახლა გამოვუშვებით, სამუდამოდ გამრთელდებიო. საბრალო ქალი შემცდარა (ქმარი იმ დღეს ქუთაისში ყოფილა) და რამდენსამე ალაგს სისხლი გაუშვებინებია... როცა კარგად დაუწრეტია სისხლისაგან თავისი მსხვერპლი, ექიმი-ქალი, რასაკვირველია, დასაჩუქრებული წაბძანებულა შინ, მაგრამ მისს მსხვერპლს კი იმ ღამესვე დაულევია სული...»

~ ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ ახალ-ქალაქზე, 11 თებერვალს, აუვლია ერთს «სოტნას», რომელიც უნდა გზეკუციად ჩაუდგეს ს. ერთა-წმინდას. ამ ეგზეკუციის თაობაზე მალე დაწვრილებით ამბავს შევატყობინებთ მკითხველს საზოგადოებას.

~ «მოსკოვის უწყებების» სიტყვით მალე შეუდგება თავის მოქმედებას, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის თავჯ-მჯდომარეობის ქვეშ, კომისია, რომელიც სხვათა შორის განიხილავს კავკასიის რკინის გზების საქმეს. ეს კომისია იხელმძღვანელებს გრაფი ბარანოვის შენიშვნებით, რომელმაც ამას წინად დაიარა სამხრეთ რუსეთი და კავკასია.

~ როგორც გაზ. «ახალ-მიმოხილვას» გაუგონია, კავკასიის მთავარ-მართებლის ჩამოსვლას თბილისში ელიან მარტის დამდეგისათვის. მისი ბრწყინვალება აპრილში აპირებს გამგზავრებას მერვისკენ, რათა დაახლოვებით გაეცნას

---

«დროების» ფელეტონი, 21 თებერვ.

## ბატონიშვილი იულონ

(ვუძღვნი ბეს. ფურც—ძეს)

«დაშთნენ მას ძენი, მის ძენი,
მათსა ვიტყოდეთ ქებასა:
გმირნი მამაცად აღზრდილნი,
ჰყოფენ კეთილსა ძმობასა;
მტერთა ძისცემენ პასუხსა,
მოყმეთა თანაძმობასა!...
(ხალხური ლექსი)

(დასასრული *)

როდესაც ბატონიშვილმა იულონმა გარდაწყვეტილი გაიგო, რომ ის მეფედ აღარ დაინიშნა, მაშინათვე მოინდომა მცხეთაში ჩასვლა და იქ უნდა გვირგვინი ეკურთხებინა. მცხეთაში შეიკრიბნენ თითქმის მთელი ქართლის თავადნი, მაგრამ ბატონიშვილმა დავითმა შეიტყო ეს, შეატყობინა გენ. ლაზარევს, რომელმაც გაგზავნა მაშინათვე მცხეთაში ორი როტა ჯარი გენ.-მაიორ გულიაკოვის *) წინამძღოლობით. ბატონიშვილებმა რომ შეიტყეს რუსების მოახლოვება, გაიქცნენ კახეთში **) და როცა მარტყოფში მივიდნენ, აქ დახვდათ ძმა მათი ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც მინამდის სპარსეთში იმყოფებოდა. გენ. გულიაკოვმა გაიყოლია თან ბატონიშვილი იულონ (დავითის ძმა) და წავიდა მარტყოფში. მაგრამ აქედამაც ბატონიშვილნი გაიქცნენ ქიზიყში და აქედამ მიწერ-მოწერა გამართეს ავარიის ომარხანთან (რომელიც მაშინ ქ. შუშაში იმყოფებოდა) და თვით ბაბახანთან (თავრიზში მყოფთან) ***).

საგარეჯოს, ველისციხის და ბოდბეს მოურავების შეწყობით ბატონიშვილმა იულონმა ააჯანყა კახელები და კახეთი, რომელიც ჯერედ ბატონიშვილის დავითის მომხრე იყო, ეხლა მისი მტერი გახდა, ასე რომ ეხლა ჰსურდათ... მეფედ იულონი დაეყენებინა.

1802 წ. აგვისტოში მოხდა შესანიშნავი კრება სამღვდელოთა და საეროთ პირთა კახეთში, სოფ. ბოდბეში. თავსმჯდომარედ კრებისა იყო ნეკრესელი მიტროპოლიტი ამბროსი. კრებამ გარდასწყვიტა ეთხოვნა რუსეთის მეფისათვის, რათა იულონი დაენიშნა საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ და მიართვა შემდეგი თხოვნა: «ერთობით კახეთსა შინა მცხოვრებნი სამღვდელონი და საერონი მუხლ-დადგმით მოვახსენებთ ყოვლად უდიდებულესსა მფარველობასა თქვენსა ესრედ: «უმოწყალესო ხელმწიფევ, როდესაც ერთგულებისა ზედა თქვენისა იმპერატორებითსა დიდებულებისასა დაგვაფიცეს, მყის გამოგვიცხადდა მანიფესტით, რომ ვითომც ჩვენ მოგვეხსენებინოს კარსა წინაშე უდიდებულესისა ხელმწიფებისა თქვენისასა, მეფე აღარ გვინდა და უმეფოდ შემოვსულვართ მფარველობასა ქვეშე. ეს ფრანციელთ მზგავსი რესპუბლიკაობა იქმნებოდა ჩვენთან. ჩვენს ბატონებს რა დაუშავებიათ ჩვენზედა რომ უარ-ვყოთ, ათასი წელი მეტი არის, რომ ბაგრატოვანნი მემკვიდრეობენ და აგრეთვე მრავალი მათგანნი ჩვენის გულისათვის წამებულან, ქრისტესთვის და ჩვენთვის სისხლი დაუთხევიათ და ჩვენც ამათ წინ ამოვწყვეტილვართ მრავალნი. ახლა ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ჩვენზედ მრავალ გვარად გასჯილის და ღვაწლ-დადებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ და იმ ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ და ჩვენის მეფით თქვენს მფარველობას ქვეშ ვიმყოფოთ, და რაოდენ ჩვენი შეძლება იყოს, ისე გვიმსახუროთ».*) ამ თხოვნაზე ხელი მოწერილი აქვსთ ნეკრესელ მიტროპოლიტ ამბროსის, ზარზმის ეპისკოპოზს ნიკოლოზს, თელავის სასულიერო სემინარიის რექტორს ალექსანდრეს, არხიმანდრიტებს ბესარიონს და იოაკიმეს, დეკანოზებს ინაშვილს ელევთერეს და სხვ. გარდა ამისა სამოც-და-ცხრა თავადს: ჩოლაყაშვილთა, ჯორჯაძეთა,

*) იხ. «დროება» № 37.

*) გენ. გულიაკოვი მარხია კახეთში, ნინო წმიდის მონასტერში.

**) Акты Кав. Арх. коммисіи, т. I, 203.

***) Ibidem 204.

*) Акты Кавкаской Археографической коммисіи, I, § 387, стр. 495.

ახლად შემენილს მხარეს და სექტემბრისთვის წარადგინოს პეტერბურგში თავისი პროექტი მერვის მმართველობის დაწესებაზე.

—— გაზ. «Петербург. Вѣдом.»-ბის სიტყვით, დაუწესებიათ თითო რევიზორის ადგილი კავკასიის ტყეების განსაცდელად, შემდეგ რაიონებში: თითო—გუმბისის და თურქის ტყეების განსაცდელად და თითოც—თბილისის, ქუთაისის, ბაქოსი და ერევნის გუბერნიებისა.

## «დროების» კორესპონდენციები.

**სიღნაღი.** დიდი ხანი არ გასულა, რაც მე ვაცნობე «დროების» მკითხველებს, თუ ტყეების ყარაულებმა როგორ შეავსეს ტყის მცველისაგან შეწირული ფული და ისიც ვაცნობეთ თუ ვისი კისრიდამ ამოიღებდნენ ამ ფულს. მართლდება ჩემი სიტყვა.

სიღნაღს ტყის ყარაულები ხიდებზე, სხვა-და-სხვა გზებზე, და ბილეთს რომ ჰკითხვენ მგზავრებს, მაინც თითო-ოროლა მანეთს ართმევენ. თუ არ მისცა, იქვე დააკლდებიანო ურემს შეშა იქნება თუ ფიჩხი და დამშვილდე არავინა ჰყავთ. მეტადრე ერთმა ტყის ყარაულთაგანმა, სახელად ზურაბმა, დაიჭირა მთელი ტყე და ბატონსავით ჰფლობს. ეს ყარაული ერთი საწყალი კაცი იყო, მხოლოდ ენტერბოდა, ეხლა ამბობენ ქილებით უდგა ფულიო; ისე სხლთდა კაცი რომ ამას წინად ავად გახდა და ხალხს დიდი სიხარული შეუდგა. მხოლოდ უფალს ღმერთს, ღმერთო ნუღარ ააყენებ ქვეშაგებიდამაო, მაგრამ ხალხის ბედმა არ გასჭრა და ეს კაცი ისევ მორჩა. მისი ავკაცობა ისევ თითქო მის შთამომავლობაზედაც გადვიდა; მისმა შვილმა ერთი ახალ-გაზდა კაცი კინალამ არ ინაცვალა, ისე დასჭრა ხანჯლით; თუ არ მიშველებოდნენ, მოჰკლავდა უეჭველად: ყარაულის შვილს იმედი აქვს არაფერი უყონ, იმიტომ რომ იმის მამას ბევრი ფულები...

---

**სოფ. ახალქალაქი, 11 თებერვალს.** იშვიათი არ არის ჩვენს სოფლებში ადამიანთან უადამიანოდ მოქცევის მაგალითი იმისთანა პირებისაგანაც კი, რომელნიც ხალხის ზნეობის მწყემსად არიან დაყენებულნი: დღეს დილით ეკლესიის გვერდზე შემდეგი სურათი წარმოგვიდგებოდათ თვალ-წინ: აქაური მამასახლისი გასხვეპული ჯოხით მისდევდა ერთს დაგლეჯილ-დაფლეთილ კაცს, რომელსაც მდუღარე ცრემლები ჩამოსდიოდა თვალებიდამ; ჯოხის ტყაპა-ტყუპს ბ. მამასახლისი ზედ ატანდა: «მე რა მენაღვლება, შე ასეთ ისეთო, აიკიდე და ჯანაბას წაიღე». რასაკვირველია, მამასახლისი ყოველ სიტყვას ჯოხით იწყებდა და ჯოხითვე ათავებდა. ამ ორ კაცს მისდევდა უკან ორი აქაური ტერტერა, თავ-ჩაღუნულნი, წყნარის ნაბიჯით და ქარვის კრიალოსნის თამაშით, თითქო აქ არაფერი ამბავიაო.

ეს უცნაური ორი მგზავრი მიუახლოვდა საეკლესიო სახლს, რომელიც სოფლისგან არის აშენებული და ამ საწყალ კაცსაც ბევრი ამაგი აქვს იმის აშენებაზე. ბლეხი დაწინაურდა, ავიდა კიბეზე, გაეშურა კარებისკენ, მაგრამ მამასახლისის ჯოხი მაინც მისწვდა და ერთიც გაზომა მისი ზურგი,—ცოტა ხნის შემდეგ ნაცემი გამოვიდა ოთახიდამ, ცალ ხელში ეჭირა რაღაც ნაფლეთები,—ლოგინის მაგიერი იყო უთუოდ,—მეორით მოჰყვანდა ავად-მყოფი შვილი, რომელიც ის იყო წამოეყენა ქვეშაგებიდამ. ავად-მყოფს ეტყობოდა, რომ იგი მარტო რამდენიმე დღის სტუმარია ამ ქვეყნისა: მიწის ფერი, სახე—დასიებული და თვალებჩაცვივნული, ძლივს მიათრევდა ფეხებს; მამის მკლავზედ რომ არა ყოფილიყო დაყრდნობილი, ერთ წუთსაც ვერ დადგებოდა ფეხზე. იმის დანახვაზედ საფლავი მოგვაგონდებოდათ. მამა დიდის წვალებით მიიყვანა მიყუდროებულ ქუჩაში და იქ მიაწვინა კვნესითა და ტირილით ცარიელს მიწაზედ.

ერთი წელიწადია, რაც საცოდავ მამას აგრე უბინადროდ დაჰყავს ავად-მყოფი შვილი და ერთი ფეხის დადგმა მიწა არ მოეპოვება, რომ თავი შეაფაროს. ზაფხულში, მანამ აქ იყო ა. მ—სა, ის არჩენდა საცოდავს და ბევრსაცა შველოდა; შემდეგ კი ხან ერთ საბძელთან მიწვებოდა, ხან მეორესთან. ამას წინედ, საშინელს ქარიშხალში, დღე და ღამე უძრავად დებულა საბრალო ავადმყოფი ურემზედ, თავის ბიძის კარებთან; მამასახლისს შებრალებია და გადუყვანია დანგრეულ ბოსელში, სადაც მუხლებამდის გუბეები მდგარა. ამ სამი დღის წინად კი გადმოუყვანია იმ სახლში, საიდანაც ასე შეუბრალებლივ გამოაგდეს დღესა. ჩემს კითხვაზედ: ან რად შეიყვანე მაგ სახლში და ან რაღად გამოაგდე—მამასახლისმა მიპასუხა: «აბა, მე რა ვქნა, ბატონო! დავაბინავე საეკლესიო სახლში, რადგანაც ცარიელი იყო და წლიდამ-წლამდინ შიგ არავინ არის ხოლმე, მაგრამ ტერტერებმა აღარ მომასვენეს, ეს სამი დღეა, რაც მაგინებენ და მიჯავრდებიან—თუ არ გადიყვან, ეხლავე ბალკონიდამ გადმოვყრითო»; მე ვეუბნებოდი, რომ პატარა დაეცადნათ, რადგანაც, გზის გახსნისათანავე, მამა აპირობდა მთიულებში წასვლას, სადაც სამ კოდამდინა აქვს შეგროვილი პური, გაჰყიდდა იმ პურს და წაიყვანდა თავის შვილს ან გორში, ან თბილისში.

და ან რას მოჰკითხავთ გაუნათლებელს მამასახლისს, როდესაც თითონ... ტერტერები ამისთანა საქმეებსა სჩადიან!.. აქაურმა მასწავლებელმა მოაგროვა ავადმყოფის სასარგებლოდ ცოტაოდენი ფული და ერთს ბოსელშიაც უპოვნა საცოდავს ბინა.

ახალქალაქელი.

---

## ტელეგრამები

საკუთარის კორესპონდენტისაგან.

20 თებერვალს.

**ქუთაისი.** წუხელის გაცარცვეს აქაური საადგილ-მამულო ბანკის კასა. მცარცველებს მხოლოდ ნაღდი ფული წაუღიათ, მაგრამ ჯერ არ ვიცით,—რამდენი. გამოძიებაა დანიშნული.

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

16 თებერვალს.

**პეტერბურგი.** «ჟურნალ დე სან-პეტერბურ»-ი ამბობს, რომ ბერლინიდამ მოსულ ტელეგრამებს განმარტება არ ეჭირვებათ და ბერლინში მომხდარი ამბები სრულიად ეთანხმებიან იმ გულ-წრფელს კავშირს, რომელიც ორს სახელმწიფოს შორის არსებობსო.

**მოსკოვი.** მოსკოვის სავაჭრო ფირმების 30 წარმომადგენელთ გამოუცხადეს მოსკოვის ბირჟის კომიტეტს, რომ კარგი იქნება ტამოჟნის დეპარტამენტმა თბილისში დატყვევებული კონტრაბანდის საქონელი თბილისის მაგივრად [მოსკოვში მიიტანოს და აქ დაჰყიდოს, რადგან აქ უფრო

---

ანდრონიკაშვილთა, ჟობულაშვილთა და სხვ.

მაგრამ ამ თხოვნამაც *) არაფერი ნაყოფი არ მოიტანა და იქონია მხოლოდ ის შედეგი, რომ ბატონიშვილმა დავითმა ჩამოართვა მღვდელ-მთავრობა მიტროპოლიტ ამბროსის და და ეპისკოპოზ ნიკოლოოზს; მასთანვე დაატუსაღებინა ზორის მოურავი ოთარ ამილახვარი, არხიმანდრიტი ბარსანაფე ავალიშვილი ნათლისმცემლის უდაბნოს შინამყოფი, ელევთერი მღვდელი, იოსებ ჭავჭავაძე და თვით ალექსანდრე, რექტორი თელავის სემინარიისა **).

როდესაც ხალხს უფრო მეტის-მეტი აღელვება დაეტყო, გენ. ლაზარევმა გაავრცელა ხმა, ვითომ დავით ჯერ არ ყოფილიყოს მემკვიდრედ დანიშნული.

დავითის ძმა ბატონიშვილი იოანე დასდევდა იულონს რუსის ჯარებით დასაჭერად; ამიტომ ბატონიშვილებმა თავი დაანებეს კახეთს და დუშეთით ისევ დაბრუნდენ ქართლს; მაგრამ აქ იულონმა გაიგო, რომ ის სოფელი, საცა სცხოვრებდა იგი, ე. ი. ბელოთი, რუსებმა დაიჭირეს ***). გაჯავრებულმა ბატონიშვილმა აღიარა თავის თავი მეფედ. მაშინ მოინდომა გენ. ლაზარევმა წასულიყო ქართლში ბატონიშვილ დავითთან ერთად და დაეჭირა იულონი. მაგრამ დედოფალმა დარეჯანმა სთხოვა მას არ წასულიყო და ეუბნებოდა, მე ვეტყვი ჩემ შვილებს, რომ იგინი დამშვიდდენ. ლაზარევს წასვლა არ მოუხდა, მაგრამ ბატონიშვილნი მაინც გაიქცნენ იმერეთში მეფე სოლომონთან. იმერეთში იულონს წაჰყვნენ: ლუარსაბ მაჩაბელი, რევაზ ბარათაშვილი, ფირან ჩერქეზიშვილი, თონიკე ამილახვარი, ზაზა ხერხეულიძე და სხვ.

როდესაც გარდაიცვალა რუსეთის იმპერატორი პავლე, ბატონიშვილმა დავითმა სთხოვა ახალს ხელმწიფეს ალექსანდრე I, რათა მას იგი სრულიად დაემტკიცებინა საქართველოს მეფედ, მაგრამ, როდესაც იმპერატორმა ამაზე უარი უთხრა, დავით შეიქმნა რუსეთის მტერი, დასტოვა თავისი ალაგი; შეურიგდა თავის ბიძებს და თითონაც ჯარების მოგროვება დაიწყო. იმერეთში ბატონიშვილებმა შეჰფიცეს ... რომ ჩვენში უთანხმობა აღარ მოხდეს, ამბობდენ ბატონიშვილები, მეფე ამორჩეულ იქმნას დედოფალ დარეჯანისაგან»...

როდესაც ბატონიშვილმა დავითმა თავი დაანება თავის ალაგს, ხალხი უფრო აღელდა. საშინელ მდგომარეობაში იყო მაშინ საქართველოს დედოფალი დარეჯანი ყოველ ღონისძიებით წინაღუდგებოდა რუსეთის მმართველობას. იულონი აღიარებდა თავის თავს მეფედ... ვახტანგი, ანუ ალმასხანი აღელვებდა არაგვის ხეობას; მირიანი გაბატონდა მარტყოფში; ფარნაოზი აღელვებდა ოსებს; იმერეთის მეფე სოლომონი, ვითომც და სამეგრელოს მმართველთან დადიანთან ომისათვის აგროვებდა დიდძალ ჯარს იულონისათვის; ალექსანდრე ბატონიშვილმა მოასწრო მიემხრო თავისაკენ სპარსეთი და დავითიც, ვითომც და ბორჩალოში სპილენძის ქარხნის გახსნისათვის, ჩუმად აგროვებდა ჯარს *).

იმერეთში ძალიან შემწეობას უწევდა ბატონიშვილებს თ. სოლომონ ლიონიძე, რომელსაც იულონისაგან

---

*) ამ წერილისათვის ბ. დუბროვინი ამართლებს კრებას. „ქართველებს არ შეეძლოთ,—ამბობს იგი, რომ ვისთვისმე საჩივარი მიეცანათ“ და მიზეზად ამისა დუბროვინი სთვლის მაშინდელს მმართველს კავალენსკის, რომელიც ყურს არ უგდებდა ჩივილს ხალხისას. Закавказье отъ 1803—1806 г. Дубровина, стр. 47.

**) ცხოვრება საქართ. მეფის გიორგი მე-XIII. პლატონ იოსელიანისა, გვ. 273 («ივერია», 1880 წ., № II.).

***) სოფ. ბელოთი იმყოფება გორის მაზრაში, მდ. პაწ. ლიახვის ნაპირზედ ლიახვის გადაღმა; იქ არის მშვენივრად (სპარსულად) აშენებული ციხე, რომელსაც ხალხი იულონის ციხეს უწოდებს. ვახუშტი თავის გეოგრაფიაში ამბობს: „ხოლო აქა ბელოთს, კეთილ ჰავისათვის ქმნა სასახლე ქსნის ერისთავმა გიორგიმ საყოფლად თვისად“. ამ სასახლეში სცხოვრებდა იულონიც. ავტ.

*) Закавказье, Дубровина, стр. 42. «ივერია». 1880, № II (პლ. იოსელიანის წერილი).

მეტს ფასს მისცემენ და ტამოჟნის უწყება უფრო დიდს სარგებლობასა ნახავსო, და თუ მოსკოვში არ მოხერხდება ეს ვაჭრობა, მაშინ თბილისში დანიშნულ ვაჭრობაზედ გამოცხადდეს ადრეულად როგორც «მთავრობის მოამბეში», ისე სხვა პეტერბურგისა და მოსკოვის გაზეთებში, რომ უცხო-ქალაქელებსაც შეეძლოთ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებაო.

ბერლინი. «ჩრდილო-გერმანიის გაზეთი» ამბობს «პეტერბურგის უწყებების» თანამგრძნობითი წერილის გამო, რომ ეს წერილი კარგად იმოქმედებს გერმანიის საზოგადოების აზრზედ, რომელიც რუსეთთან მეგობრობას ყოველთვის დიდს მნიშვნელობას აძლევდაო.

ლონდონი. ჩარინგ კროსის სტანციაზედ იპოვნეს 20 გირვანქა დინამიტით გატენილი ყუთი და მეორე სტანციაზედ—ჯოჯოხეთის მაშინა. როგორც ეს მაშინები, ისე ის, ვიქტორიის სტანციაზედ რომ აფეთქება მოახდინა, ერთგვარნი არიან და მათი დინამიტი ამერიკაშია გაკეთებული. გამოსცადეს და ნახეს, რომ ამ მაშინებს შეეძლოთ დიდი უბედურება მოეხდინათ.

გლადსტონმა შეიტანა გუშინ საზოგადოებათა პალატაში ამორჩევითი რეფორმების კანონ-პროექტი. თუ ეს პროექტი მიიღეს, ამორჩეულთა რიცხვი სამი მილიონით იმატებს.

ბერლინი. კრიტის მცხოვრებნი ძალიან უკმაყოფილონი არიან, რომ ახალ გუბერნატორად ხალილ-რიფაათია დანიშნული.

კაირი. კასალის გარნიზონი 12 თებერვლის ქალაქიდამ უცებ თავს დაესხა მტერს და გაჰფანტა.

18 თებერვალს

ლონდონი. რადგან ამერიკაში ხშირია შეთქმულობა ინგლისლების სიცოცხლისა და ქონების წინააღმდეგ, კაბინეტმა გადასწყვიტა ამ საქმის გამო გაუგზავნოს ზდილობიანი დიპლომატიურ ნოტა შეერთებულ შტატებს მთავრობას.

19 თებერვალს.

ლონდონი. ოფიციალური ცნობებიდამა სჩანს. რომ გუშინ სუაკიმთან ინგლისლებისა და ოსმან დიგმის ჯარს შუა მთელი დღე ბრძოლა იყო. აჯანყებულები დამარცხდენ და 1000 კაცი დაეხოცათ. ინგლისლებს დაეხოცათ 10 კაცი და დაეჭრათ 40.

კაირი. როგორცა სჩანს, გორდონმა ვერა გააწყო-რა. უწინდელი აღტაცება გორდონისადმი აღარსადა სჩანს; იმის პროკლამაციები სამასხაროდ გაჰხადეს.

ლონდონი. აქ მოვიდა გრაჰამის ტელეგრამა, რომელიც დაწვრილებით იცნობება ბრძოლის ამბავს: ჯერ თურმე აჯანყებულებს იარაღის დაყრა მოსთხოვეს, მაგრამ ეს რომ არა ჰქნეს, ინგლისის ჯარი (3000 ქვეითი კაცი, 750 ცხენოსანი, 8 ზარბაზნით და 7 კარტეჩნიცით) თავს დაესხა მტერს, რომელსაც 10000 კაცით სიმაგრეები ეჭირა. ინგლისელებმა მტერს მარცხენიდამა და უკანა მხარიდამ მოუარეს და სამი საათი მედგარი ბრძოლის შემდეგ, გააქციეს, მტერმა დასტოვა ბრძოლის ველზედ 900 მკვდარი, 7 ზარბაზანი და მრავალი საომარი იარაღი. ინგლისელებს მოუკლეს 28 კაცი, 142 დაუჭრეს და ორი უამბოდ გადიკარგა. მძიმედ დაჭრილთა შორის არის ბეკერ-ფაშა და ორი პოლკოვნიკი.

კონსტანტინოპოლე. მტკიცდება, რომ კრიტის გუბერნატორის ბერძნის ფოტიადესის გადაყენებამ და იმის მაგივრად მახმადიანის რიფათ-ფაშის დანიშვნამ ძლიერი აღელვება გამოიწვია ამ კუნძულზედ. მცხოვრებლებმა მიმართეს პორტას და დიდთა სახელმწიფოთა ელჩებს კონსტანტინეპოლში თხოვნით, რათა ეს განკარგულება გაუქმებულ იქმნას. ელჩები მალე შეიყრებიან მოსალაპარაკებლად ამ საგანზედ, რომელსაც ემატება მნიშვნელობა პორტასა და პატრიარქს შორის განხეთქილების გამო.

20 თებერვალს.

პეტერბურგი. გუშინ როგორც პეტერბურგში, ისე სხვა ქალაქებში გადაიხადეს პანაშვიდები განსვენებულის ხელმწიფის მოსახსენებლად.

ლონდონი. ოფიციალურის ცნობებიდამა სჩანს, რომ ინგლისლებს ტოკარი ხელმეორედ დაუპყრიათ და წინააღმდეგად არავინ გაჰხდომიათ. გრაჰამი ქალაქში შესულა და აღტაცებით მიუღია ხალხს, რომელსაც აჯანყებულნი მეტის-მეტად აწუხებდენ.

# განცხადებანი

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სკვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, კარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, კმაღიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—64)

წერილები მოჰქონდა თბილისში დარეჯან დედოფალთან.

რუსეთის მმართველობამ დაადგინა, რომ ყველა ბატონიშვილები დაეჭირათ და რუსეთში გაეგზავნათ. გენ. ლაზარევი სწერდა იმპერატ. ალექსანდრე I: «სანამ ბაგრატოვანთა გვარი აქ იქმნება, უწესოებას ბოლო არ მოეღება! აწ მთლად საქართველო აღელვებულია და ვაჭრებმაც კი დაკეტეს თავიანთ დუქნებიო...»*).

გენერ. ლაზარევმა სთხოვა დედოფლებს მარიამს და დარეჯანას, რათა რუსეთში წასულიყვნენ, მაგრამ იმათ ავადმყოფობა მოიგონეს და უარზე დადგნენ**).

ერთ დღეს დედოფალი მარიამ, რომელიც ავლაბარში სცხოვრებდა, მოემზადა, რომ წასულიყო ხევსურეთში. მაგრამ თ. ციციშვილმა გაგზავნა გენერ. ლაზარევი, რომ არ გაეშვა დედოფალი. გენერ. ლაზარევი შევიდა დედოფლის სასახლეში და სთხოვა, რომ რუსეთში წესულიყო, მაგრამ დედოფალმა უარი უთხრა. ლაზარევი გარეთ გამოვიდა და მოსალაპარაკებლად დედოფალთან დააგდო ვილაც პუროკოვი, რომელმაც ქართული იცოდა; მივიდა თუ არა პუროკოვი მარიამთან, მაშინათვე მას ეცნენ ხანჯლებით დედოფლის ძენი ჯიბრელ და თამარ და უნდოდათ მისი მოკვლა. ყვირილზე მოვარდა თვით გენერალი ლაზრევი, რომელსაც დედოფალმა მარიამმა ორჯელ ჩაჰკრა გულში ხანჯალი; ლაზარევი კარებამდის კი მივიდა და მაშინათვე მკვდარი დაეცა. აცნობეს თ. ციციშვილს; მან გამოგზავნა თ. ორბელიანი, რომელიც ურჩევდა დედოფალს დამშვიდებას. დედოფალსა ჰსურდა თავი მოეკლა, მაგრამ მარტო ორთავე მკლავი გაიჭრა და ამის შემდეგ ხელიდამ ხანჯალიც გამოსტაცეს, დედოფალი მარიამ გაგზავნეს რუსეთში. დარიალთან რუსებს დახვდენ ოსები, რომელთათვისაც წინადვე დედოფალს ეჩუქებინა ასი თუმანი; თუ ეინიცობაა რუსებმა წამომიყვანესო, რუსებიც დახოცეთ და მეც ნუ დამზოგავდო. მაგრამ რუსებმა მშვიდობიანად ჩაიყვანეს მარიამ ქ. ვორონეჟში, სადაც იგი დაამწყვდიეს ბელგოროდის საქალებო მონასტში და რვა წლის შემდეგ გაანთავისუფლეს*).

**25 ოქტომბერს, 1803 წ.** დედოფალი დარეჯანიც გაგზავნეს რუსეთში. ბატონიშვილნი იულონი და ფარნაოზი ს. თამარაშენში **) იმყოფებოდენ და მაჩაბლებს სთხოვდენ, რათა მათ აღელვებინათ თავიანთ ყმა-ოსები. ამასთანავე იულონ თითონაც აღელვებდა ოსებს. იგი აჯილდოებდა განთქმულ ოსს დუდარუყო ახმეტაფრათს, რომელიც დაჰპირდა იულონს, რომ მე გზას შეუკრავ რუსებს, ასე რომ საქართველოში ველარ გადმოვლენო ***). მართლაც დუდარუყო დიდხანს ეომა რუსებს ოსების, ლეკების და ჩაჩნების შემწეობით; მაგრამ ბოლოს დაიჭირეს და პეტერბურგში გაგზავნეს. ბ. ბუტკოვი (დუდარუყოს თანამედროვე) უწოდებს ახმეტაშვილს «ოსების მანსურად».

**1804** წლის გაზაფხულზედ... ბატონიშვილებმა და იმერეთის მეფემ სოლომონმა მოაგროვეს დიდ-ძალი ჯარი; ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად თავის ჯარებით მოვიდენ ომარხანი (რომლის საფლავი ზაქათალაში იმყოფება), მუსტაფა, განჯის ხანი, შემახიის ხანი და სხვ., მაგრამ ამ დროს უეცრად მათი დაწყობილება დაიშალა. იასაულებმა კონდრაშევმა და ნოვიცკიმ დაიჭირეს იულონი სოფ. შაქორბელაში (იმერეთში).

**1805** წლის იანვარში ბატონიშვილნი იულონ და ფარნაოზ გაიგზავნენ რუსეთში. იულონს საცხოვრებლად დაუნიშნეს ქალ. ტულა და ფარნაოზს ქ. ვორონეჟი. ამის შემდეგ საქართველოში... მშვიდობიანობა ჩამოვარდა.

ბატონიშვილი იულონ აღსრულდა პეტერბურგს 23 აგვისტოს, 1816 წელსა.

გიორგი ჩოჩიშვილი.

1884 წ. იანვარი.
ქ. თბილისი.

*) იქვე, გვ. 38.

**) დედოფლები დარეჯან და მარიამ უწესოების მოთავენი იყვნენ. ავტ.

*) Закавказье отъ 1803—1806 г. Н. Дубровина, стр. 86—90.

**) თამარაშენი ცხინვალის ზემოდ, ლიახვის დასავლეთ იმყოფება. ვახუშტი ამბობს: «ხოლო თამარაშენში იმყოფებოდა სასახლე და ციხე მეფეთა». Descript. géograph. de la Géorgie, par wachoucht, par. 254.

***) Буткова исторія, III, стр. 573.

სავლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საადგილო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აურებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კონვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თუთრეულისათვის, პატარა ხალხის ატაკისათვის კლიონკები. ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეჭდები, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 ქ. (100—34)



## ОБЪ ИЗДАНІИ ВЪ 1884 ГОДА ЖУРНАЛА

# „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(годъ четвертый)

**Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:**

I. Статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ изъ теоріи права и судопроизводства.—II. Перечень, изложеніе и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.—III. Судебная хроника: а) отчеты о засѣданіяхъ въ судахъ, преимущественно Кавказскаго края, и б) особенно интересныя рѣшенія Кавказскихъ гражданскихъ судовъ по вопросамъ права и судопроизводства, вызваннымъ мѣстными особенностями края.—IV. Корреспонденціи юридическаго содержанія.—V. Краткіе отчеты о новыхъ книгахъ юридическаго содержанія (Обзоръ юридической печати и библіографія).—VI. Смѣсь (разныя извѣстія). Случаи изъ судебной жизни и практики.—VII. Тезисы кассаціонныхъ рѣшеній: а) кассаціонныхъ департаментовъ сената, и б) Тифлисской судебной палаты.—VIII. Извлеченіе изъ приказовъ о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству юстиціи.—IX. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской судебной палаты по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ.—X. Объявленія—казенныя и частныя.

При всей трудности изданія юридическаго органа на далекой окраинѣ Россіи, необходимость и полезность такого органа на Кавказѣ доказывается вступленіемъ «Юридическаго Обозрѣнія» въ четвертый годъ своего существованія. Въ настоящее время редакція заручилась сотрудничествомъ многихъ юристовъ, врачей и публицистовъ. Мы можемъ указать, какъ участниковъ въ нашемъ журналѣ: К. Д. Анциферова, Д. З. Бакрадзе, Ѳ. А. Быкова, Ф. К. Бакало, Кн. К. А. Бебутова, Г. Г. Гвиніева, А. А. Гребенщикова, С. І. Гулишамбарова, Н. А. Дингельштета, К. В. Долгова, Г. А. Джаншіева, Г. И. Еджубова, Д. И. Кипіани, Д. В. Квиркелія, П. И. Ковалевскаго, П. М. Лебединскаго, Я. И. Лудмера, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, Д. П. Нурцеладзе, Я. И. Рашета, Н. П. Смиттена, В. Д. Спасовича, А. В. Степанова, А. А. Фонъ-Ашеберга, В. А. Хлѣбникова, Н. А. Шаврова и др.

Въ распоряженіи редакціи имѣются статьи, какъ мѣстнаго кавказскаго, такъ и общаго интереса. Изъ числа ихъ предназначены къ печатанію въ 1884 году: матеріалы для новыхъ уложеній—Уголовнаго и Гражданскаго, о водовладѣніи на Кавказѣ и другихъ мѣстахъ по законамъ: царя Вахтанга, шаріату и др., о межеваніи, о пошлинахъ, о литературной и музыкальной собственности, о нефтяныхъ законахъ въ разныхъ странахъ, о колоніяхъ преступниковъ, о сельской адвокатурѣ, о безпріютныхъ дѣтяхъ, о формѣ суда присяжныхъ на Кавказѣ, о хизанахъ, о саношенахъ, о древне-армянскомъ законодательствѣ (изслѣдованія Мхитара-Гоша), о мусульманскихъ законахъ на Кавказѣ, о древне-еврейскомъ законодательствѣ и пр.

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Редакція и Администрація журнала (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул., д. кн. Меликова.

Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 20 к.; на 1 мѣс.—1 р. 25 к. Подписываться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Разсрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 р., въ мартѣ и апрѣлѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.

При меремѣнѣ адреса вносятъ 40 к.

Объявленія, казенныя и частныя—строка петита 10 коп., ½ страницы 3 р. 25 к., цѣлая стран. 6 руб. 50 коп.

Подписка и объявленія принимаются также въ Москвѣ и Петербургѣ, въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Отдѣльные №№ «Юрид. Обозр.» продаются по 25 коп. въ Тифлисѣ, въ Центральной книжной торговлѣ и въ г. Кутаисѣ, въ книж. маг. Чиладзе.

Статьи должны имѣть подпись и адресъ ихъ автора, для свѣдѣнія редакціи, и могутъ подлежать передѣлкамъ и сокращеніямъ.—Статьи безъ означенія условій гонорара признаются безплатными.—Обратная пересылка рукописей для редакціи не обязательна.

При доставленіи въ редакцію «Юридическаго Обозрѣнія» экземпляръ юридическаго сочиненія, о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація. (8—8)



# ჟურნალი „ივერია“

(წელიწადი მერვე)

ამ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თვე და თვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება

თბილისში: შაქრდოვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქავ, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ფასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი: В Тифлисъ, въ редакцію журнала «Иверія».

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

(10—10) რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.



# სტამბა

ეფთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, დიდის-მოლიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევს საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრეკტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—31)


### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 გირ. | 5 კ. | |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2½ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3½ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | 3½ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 9 კ. |
| ღორის ღორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. цензур. Тифлисъ, 20 Февраля 1884 г. ექ. ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. მართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.